თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №5701474

ნომერი: AR1863269

თარიღი : 19.11.2021

გაცემის თარიღი : 26.11.2021

გაცნობის თარიღი : 03.12.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხაი-ზიჩი , N 2 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხაი-ზიჩი , N4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ცაავა პ/ნ 01024060610
- პეკინის ქუჩა 14ა ბინა 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 19 ნოემბერს №AR1863269 განცხადებით მომართა თეიმურაზ ცაავამ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 20 ივლისის №5510984 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 20 ივლისის №5510984 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში, მიხაი-ზიჩის ქუჩა №2; ქალაქ თბილისში, მიხაი-ზიჩის ქუჩა №4-ში მდებარე №01.15.05.043.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 20 ივლისიდან 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. ამასთან, სამსახურში ფიქსირდება 2021 წლის 24 ნოემბრის №AR1864075 განცხადება მშენებლობის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 20 ივლისის №5510984 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში. კერძოდ, აღნიშნავს რომ მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2021 წლის 11 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურმა დაადგინა, რომ 2021 წლის 11 აპრილის №AR1816899 განცხადებით მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 4 თვესა და 10 დღეზე. სამსახურმა, კანონმდებლობის შესაბამისად, იხელმძღვანელა №AR1816899 განცხადებაზე წარმოდგენილი (4 თვესა და 10 დღეზე გათვლილი) კალენდარული გრაფიკით და სამსახურის 2021 წლის 20 ივლისის №5510984 ბრძანებაში მშენებლობის ვადა დაფიქსირებულ იქნა სწორად - 2021 წლის 20 ივლისიდან 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2021 წლის 20 ივლისის №5510984 ბრძანებით სწორად იქნა განსაზღვრული მშენებლობის ვადა და იგი არ შეიცავს ტექნიკურ შეცდომას, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და სამსახურის 2021 წლის 20 ივლისის №5510984 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.